

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ნოტეჟი
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ.....	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	10
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი.....	10
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	19
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება).....	20
პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები	21

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ნეოტექი-ს დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ნეოტექი“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი დრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მის ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვით მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მიმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები აღეკვეთის არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

18 ივლისი, 2022

თბილისი, საქართველო



WE ARE AN INDEPENDENT MEMBER OF
THE GLOBAL ADVISORY
AND ACCOUNTING NETWORK

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი
დოლიძის ქ. N2
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 032 2 47 09 00
ე-ფოსტა: info@fmg.ge

Financial Management Group LTD
Dolidze Str. #2
Tbilisi, Georgia
Tel: (995) 032 2 47 09 00
E-mail: info@fmg.ge

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

18 ივლისი, 2022

თბილისი, საქართველო



შპს ნეოტეკი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	3	3,794,776	3,422,968
საინვესტიციო ქონება	4	675,380	695,016
არამატერიალური აქტივები		44,936	47,482
სულ გრძელვადიან აქტივები		4,515,091	4,165,466
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	7,700,570	6,633,167
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,087,760	1,634,119
გაცემული სესხები		253	111,570
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება		74,136	-
ფული და ფულის ექვივალენტები	7	550,041	1,953,179
სულ მიმდინარე აქტივები		10,412,760	10,332,035
სულ აქტივები		14,927,851	14,497,501
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		12,631,378	10,567,058
სულ კაპიტალი		12,633,378	10,569,058
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	2,032,993	3,918,152
გადასახდელი გადასახადები		261,480	10,291
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,294,473	3,928,443
სულ ვალდებულებები		2,294,473	3,928,443
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,927,851	14,497,501

იგორ ფარჯიანი
დირექტორი

18 ივლისი 2022
თბილისი, საქართველო

შპს ნეოტექი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	მენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	3	3,794,776	3,422,968
საინვესტიციო ქონება	4	675,380	695,016
არამატერიალური აქტივები		44,936	47,482
სულ გრძელვადიან აქტივები		4,515,091	4,165,466
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	7,700,570	6,633,167
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,087,760	1,634,119
გაცემული სესხები		253	111,570
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება		74,136	-
ფული და ფულის ექვივალენტები	7	550,041	1,953,179
სულ მიმდინარე აქტივები		10,412,760	10,332,035
სულ აქტივები		14,927,851	14,497,501
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		12,631,378	10,567,058
სულ კაპიტალი		12,633,378	10,569,058
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	2,032,993	3,918,152
გადასახდელი გადასახადები		261,480	10,291
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,294,473	3,928,443
სულ ვალდებულებები		2,294,473	3,928,443
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,927,851	14,497,501

იგორ ფარჯიანი
დირექტორი

18 ივლისი 2022
თბილისი, საქართველო



შპს ნეოტექი
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები		21,628,831	17,048,079
გაყიდული პროდუქციის და მიწოდებული მომსახურების თვითღირებულება	9	(17,356,693)	(13,713,645)
მთლიანი მოგება		4,272,138	3,334,434
სხვა შემოსავალი	10	514,152	1,214,033
მიწოდების ხარჯი	11	(820,360)	(670,665)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	12	(1,648,268)	(1,418,170)
ფინანსური აქტივების გაუფასურება		(77,182)	(241,084)
საოპერაციო მოგება		2,240,480	2,218,548
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი) წმინდა		(162,805)	27,316
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან		115,324	(54,808)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		(47,480)	(27,492)
მოგება დაბერგვრამდე		2,193,000	2,191,056
მოგების გადასახადი		(3,678)	(19,594)
წმინდა მოგება		2,189,321	2,171,462
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		2,189,321	2,171,462

იგორ ფარჩიანი
დირექტორი

18 ივლისი 2022
თბილისი, საქართველო

შპს ნეოტექი
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები		21,628,831	17,048,079
გაყიდული პროდუქციის და მიწოდებული მომსახურების თვითღირებულება	9	(17,356,693)	(13,713,645)
მთლიანი მოგება		4,272,138	3,334,434
სხვა შემოსავალი	10	514,152	1,214,033
მიწოდების ხარჯი	11	(820,360)	(670,665)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	12	(1,648,268)	(1,418,170)
ფინანსური აქტივების გაუფასურება		(77,182)	(241,084)
საოპერაციო მოგება		2,240,480	2,218,548
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი) წმინდა		(162,805)	27,316
მოგება-ზარალი საკუროს სხვაობიდან		115,324	(54,808)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		(47,480)	(27,492)
მოგება დაბერგვრამდე		2,193,000	2,191,056
მოგების გადასახადი		(3,678)	(19,594)
წმინდა მოგება		2,189,321	2,171,462
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		2,189,321	2,171,462

იგორ ფარჯიანი
დირექტორი

18 ივლისი 2022

თბილისი, საქართველო



შპს ნეოტეკი
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	2,000	9,061,468	9,063,468
წმინდა მოგება		2,171,462	
დივიდენდის განაწილება		(665,872)	
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	2,000	10,567,058	10,569,058
წმინდა მოგება		2,189,321	
დივიდენდის განაწილება		(125,000)	
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	2,000	12,631,380	12,633,380

იგორ ფარჯიანი
 დირექტორი

18 ივლისი 2022
 თბილისი, საქართველო

შპს ნეოტექი
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	2,000	9,061,468	9,063,468
წმინდა მოგება		2,171,462	
დივიდენდის განაწილება		(665,872)	
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	2,000	10,567,058	10,569,058
წმინდა მოგება		2,189,321	
დივიდენდის განაწილება		(125,000)	
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	2,000	12,631,380	12,633,380

იგორ ფარჯანი
 დირექტორი

18 ივლისი 2022
 თბილისი, საქართველო



შპს ნეოტექი
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2021	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ	2,189,321	2,191,056
კორექტირება:		
საპროცენტო შემოსავალი	2,524	(27,317)
ცვთის ხარჯი	366,775	320,145
მარაგების გაუფასურება	121,913	176,272
სავაჭრო მოთხოვნის რეზერვის ცვლილება	(311,703)	153,664
გაცემული სესხის გაუფასურება	77,182	87,420
ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა	-	(1,181,278)
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	(115,324)	54,808
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	2,330,688	1,774,770
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება(ზრდა)	(201,730)	458,233
მარაგების ზრდა	(1,189,316)	(801,682)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა(შემცირება)	(1,645,204)	1,090,457
საგადასახადო ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა	251,189	(203,849)
წინასწარ გადახდილი ხელფასები	(74,136)	-
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(528,509)	2,317,929
გადახდილი პროცენტი	(20,783)	-
გადახდილი მოგების გადასახადი	(3,678)	(19,594)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(552,970)	2,298,336
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშალების შეძენა	(922,586)	(388,616)
ძირითადი საშალების რეალიზაცია	206,186	-
საინვესტიციო ქონების შეძენა	-	(34,212)
პროცენტის მიღება	-	4,230
სესხის გაცემა	596,393	302,817
გაცემული სესხის დაფარვა	(544,000)	(290,000)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(664,007)	(405,781)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
განაწილებული დივიდენდი	(121,322)	(632,578)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(121,322)	(632,578)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(64,839)	21,921
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(1,403,138)	1,281,898
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	1,953,179	671,281
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	550,041	1,953,179

იგორ ფარჯიანი
 დირექტორი

18 ივლისი 2022
 თბილისი, საქართველო

შპს ნეოტექი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2021	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ	2,189,321	2,191,056
კორექტირება:		
საპროცენტო შემოსავალი	2,524	(27,317)
ცვთის ხარჯი	366,775	320,145
მარაგების გაუფასურება	121,913	176,272
სავაჭრო მოთხოვნის რეზერვის ცვლილება	(311,703)	153,664
გაცემული სესხის გაუფასურება	77,182	87,420
ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა	-	(1,181,278)
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	(115,324)	54,808
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	2,330,688	1,774,770
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება(ზრდა)	(201,730)	458,233
მარაგების ზრდა	(1,189,316)	(801,682)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა(შემცირება)	(1,645,204)	1,090,457
საგადასახადო ვალდებულების (შემცირება)/ზრდა	251,189	(203,849)
წინასწარ გადახდილი ხელფასები	(74,136)	-
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(528,509)	2,317,929
გადახდილი პროცენტი	(20,783)	-
გადახდილი მოგების გადასახადი	(3,678)	(19,594)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(552,970)	2,298,336
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(922,586)	(388,616)
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	206,186	-
საინვესტიციო ქონების შეძენა	-	(34,212)
პროცენტის მიღება	-	4,230
სესხის გაცემა	596,393	302,817
გაცემული სესხის დაფარვა	(544,000)	(290,000)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(664,007)	(405,781)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
განაწილებული დივიდენდი	(121,322)	(632,578)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(121,322)	(632,578)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(64,839)	21,921
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(1,403,138)	1,281,898
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	1,953,179	671,281
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	550,041	1,953,179

იგორ ფარჯიანი
დირექტორი

18 ივლისი 2022

თბილისი, საქართველო



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საქმიანობა

შპს „ნეოტექი“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2005 წლის 19 სექტემბერს, მარეგისტრირებული ორგანო არის თბილისის საგადასახადო ინსპექცია, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის დიდუბის რაიონი, ნოდარ ბოხუას N4. ორგანიზაციის დამფუძნებელია ორი ფიზიკური პირი ივანე გაგუა 40% წილის მფლობელი და დავით არჩვაძე 60% წილით.

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ვიდეოსათვალთვალო, დაცვითი და სახანძრო სიგნალიზაციების, საკონფერენციო, გახმოვანებების, შეზღუდული დაშვებების, სატელეფონო და საკომპიუტერო ქსლების და სხვა საქონლის რეალიზაცია მონტაჟი.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს-ები) შესაბამისად.

- აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.
- თანხები მრგვალდება უახლოეს ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- კომპანიის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. წარდგენილ ანგარიშგებაში არ არსებობს რისკი, რომელიც შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაძლოა იყოს არა სამართლიანი.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ მე-6 განმარტებითი შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

კომპანიის საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ლარი/1 აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ლარი/1 ევრო	3.5040	4.0233

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ისინი ძირითადად მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის შედეგად წარმოიქმნება. აქტივების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით. ისინი აღირიცხება მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ გადახდა გადავადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვეზე მეტი ვადით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას.

კომპანია საკრედიტო რისკების შეფასებას ახორციელებს ჯგუფურ და ინდივიდუალურ საფუძველზე. გაუფასურების რეზერვი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. იმისათვის, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი ჯგუფურად, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. მოთხოვნების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფად ბრუნვად მარაგებს. საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული არა ბრუნვადი მარაგები წარმოადგენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობისათვის საჭირო მარაგებს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება და მისი ნაშთის არ არსებობა შესაძლოა გახდეს მიწოდების შეზღუდვის საფუძველი.

გაცემული სესხები

გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. ეს ფინანსური აქტივები ხასიათდება ფიქსირებული ან განისაზღვრებადი გადასახადებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აქტივების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით. ისინი აღირიცხება მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ გადახდა გადავადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვეზე მეტი ვადით.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში ღირებულებაზე მათი განაწილებით:

• შენობა-ნაგებობა	40 წელი
• მანქანა-დანადგარები	5-10 წელი
• სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
• ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა	5-10 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს მესაკუთრე, საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის, ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა: (ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; ან (ბ) გაყიდვა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

საინვესტიციო ქონების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან, როგორიცაა იურიდიული ან საბროკერო მომსახურების ღირებულება, ქონების გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადები და სხვა მსგავსი გარიგების დანახარჯები. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, მაშინ საინვესტიციო ქონების თვითღირებულება განისაზღვრება სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით.

საინვესტიციო ქონების შექმნასთან ან მოდერნიზაციასთან დაკავშირებულია ზოგიერთი სახის საქმიანობა, რომელიც აუცილებელი არ არის აქტივის დანიშნულების ადგილზე მისატანად, ან მის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ასეთ დამხმარე ოპერაციებთან/საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავალი და ხარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონება აღირიცხება დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალით შემცირებული ისტორიულ ღირებულებით. საინვესტიციო ქონებას ცვეთა ერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი ღირებულების მეთოდს. სასარგებლო მომსახურების პერიოდი შეადგენს 40 წელს.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

შეკეთებასა და განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება საოპერაციო ხარჯებში მათი გაწევისთანავე, თუ ისინი არ შესაბამეა კაპიტალიზებად დანახარჯებს.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. დივიდენდის გამოცხადების გარდა, სხვა მავალდებული მოვლენა, რომელიც წარმოქმნის მოგების გადასახადს აღიარდება საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ამონაგები

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- (გ) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება;
- (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

იმ შემთხვევაში თუ კომპანია ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, არ ხდება ამონაგების აღიარება. კომპანიამ შეიძლება შეინარჩუნოს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი როდესაც:

- (ა) საწარმოს მიერ კონკრეტული საქონლის გაყიდვიდან ამონაგების მიღება დამოკიდებულია მყიდველის მიერ ამ საქონლის გაყიდვაზე;
- (გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებულია გაგზავნილი საქონლის დამონტაჟება და ეს პირობა მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო ვალდებულებაა, რომელიც საწარმოს ჯერ არ შეუსრულებია;

შემოსავალი (გაგრძელება)

როდესაც კომპანია ყიდის უსაფრთხოების სისტემას ინსტალაციის ჩათვლით, ამ შემთხვევაში ინსტალაცია არ განიხილება როგორც გარიგების ცალკეული კომპონენტი, რადგან კომპანია განცალკევებულად არ ყიდის ინსტალაციის მომსახურებას, თუ ის ასევე არ ყიდის სისტემას. როდესაც ინსტალაცია ხდება საქონლის გაყიდვის დროს, საქონლის გაყიდვისას აღიარდება ინსტალაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი საფასური. კომპანია ჩვეულებრივ აღიარებს შემოსავალს, როდესაც მყიდველთან გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი და ინსტალაცია და შემოწმება დასრულებულია, რადგან ჩვეულებრივ ამ დროს ხდება საქონელზე საკუთრების მნიშვნელოვანი რისკისა და სარგებლის გადაცემა. ამასთან, შემოსავლის აღიარება ხდება მყიდველისთვის მიწოდებისთანავე, როდესაც ინსტალაციის პროცესი მარტივია.

მომსახურების გაწევიდან ამონაგები აღიარდება თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- (ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ და შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- (ბ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა კომპანიაში გადავადებულია და შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხების დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

კომპანია აღიარებს სხვაობას მომავალი შემოსავლის დღევანდელ ღირებულებას და ანაზღაურების ნომინალურ თანხას შორის, როგორც საპროცენტო შემოსავალს. როდესაც სავარაუდოა, რომ მთლიანი საკონტრაქტო ხარჯები გადააჭარბებს ხელშეკრულების მთლიან შემოსავალს, მოსალოდნელი ზარალი დაუყოვნებლივ აღიარებულია ხარჯად.

თვითღირებულების ხარჯები

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს რეალიზებული საქონლის ღირებულებისა და მის წარმოებაზე გაწეული დანახარჯებისაგან. ასევე გაწეული სერვისის პირდაპირ ხარჯებს, რომელიც მოიცავს ხელფასების და სხვა მომსახურების ხარჯებს.

მიწოდების ხარჯები

მიწოდების ხარჯები მოიცავს გაყიდვებთან და მიწოდებასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს, როგორიცაა რეკლამის ხარჯი, საწვავის და მივლინების ხარჯი, სადისტრიბუციო ქსელში გამოყენებული ავტომობილების ცვეთის ხარჯებს და ხელფასის ხარჯს.

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

უიმედო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტების გადახდისუნარიანობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება. ვადამდელიგამოყენებანებადართულია.

შენიშვნა 3 - ძირითადი საშუალებები

	შენობა-ნაგებობა	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
საწყისი ღირებულება					
ბალანსი 31/12/2019	1,740,259	146,951	417,310	775,173	3,079,693
დანამატები	213,392	29,160	34,675	127,292	404,519
აქტივების ჩამოწერა	-	(1,157)	(5,880)	(9,938)	(16,974)
ცვეთა პერიოდისათვის	(111,985)	(55,974)	(94,604)	(211,667)	(474,229)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	170,203	21,444	100,567	137,746	429,961
ბალანსი 31/12/2020	2,011,869	140,424	452,068	818,607	3,422,968
დანამატები	154,635	116,983	513,191	137,776	922,586
აქტივების ჩამოწერა	(86,441)	(4,153)	(41,317)	(189,637)	(321,548)
ცვეთა პერიოდისათვის	(64,418)	(42,689)	(93,545)	(143,941)	(344,594)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	8,544	1,276	32,363	73,178	115,362
ბალანსი 31/12/2021	2,024,189	211,842	862,760	695,983	3,794,774
ბალანსი 31/12/2020	2,011,869	140,424	452,068	818,607	3,422,968
ბალანსი 31/12/2021	2,024,189	211,842	862,760	695,983	3,794,774

- მიმდინარე სასამართლო დავასთან დაკავშირებით უძრავი ქონების ნაწილზე დაწესებულია შეზღუდვა - გასხვისებაზე ან იპოთეკით დატვირთვაზე

შპს ნეოტექი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 4 – საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021		31.12.2020	
	მიწა	შენობა	მიწა	შენობა
1 იანვარი	21,783	785,403	21,783	751,191
შემოსვლა	-	-	-	34,212
საბალანსო ღირებულება	21,783	785,403		785,403
 დაგროვილი ცვეთა	-	(112,170)	-	(93,278)
პერიოდის ცვეთის ხარჯი	-	(19,635)	-	(18,892)
				-
31 დეკემბერი	21,783	653,598	21,783	673,233

შენიშვნა 5 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე აღრიცხულია სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს საპროექტო სამუშაოების მარაგებს.

	31.12.2021	31.12.2020
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7,700,570	6,633,167
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7,700,570	6,633,167

შენიშვნა 6 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები	2,081,127	2,131,122
გადახდილი ავანსები	525,906	340,368
ავანსები პერსონალზე	6,591	196
 რეზერვები	(525,864)	(837,567)
სულ მიმდინარე მოთხოვნები	2,087,760	1,634,119

საკრედიტო რისკების შეფასებით წარმოდგენილი ანალიზი, რომლითაც შემცირებულია პერიოდის მოთხოვნები და წარდგენილია რეალური ღირებულებით მოიცავს შემდეგს:

	31.12.2021	31.12.2020
ვადადუმდგარი, გაუფასურების გარეშე	1,257,924	545,253
ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნები გაუფასურებაზე	153,682	805,305
ჯგუფურად შეფასებული მოთხოვნები გაუფასურებაზე	669,520	780,564
 მინუს: გაუფასურების რეზერვი	(525,864)	(837,567)
	1,555,263	1,293,555

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

	31.12.2021	31.12.2020
1 იანვარი	(837,567)	(683,903)
გაუფასურების რეზერვის ცვლილება	311,703	(153,664)
31 დეკემბერი	(525,864)	(837,567)

შენიშვნა 7 -ფული და ფულადი ექვივალენტები

პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ეროვნულ და უცხოურ ვალუტას საბანკო ანგარიშებზე.

	31.12.2021	31.12.2020
ლარი საბანკო ანგარიშებზე	450,184	1,030,198
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	97,798	920,894
ნაღდი ფული საღაროში	2,059	2,087
ჯამურად ნაღდი ფული საღაროში	2,059	2,087
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	550,041	1,953,179

შენიშვნა 8 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

პერიოდის ბოლოს არსებული სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1,150,145	2,684,854
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	3,443	330,169
მიღებული ავანსები	879,404	903,129
სულ მიმდინარე ვალდებულებები	2,032,993	3,918,152

შენიშვნა 9 -შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულება

პერიოდის შემოსავალი მოიცავს რეალიზაციიდან და საპროექტო მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალს რომელიც შემცირებულია თვითღირებულებით, პირდაპირი ხელფასებით და ფასდათმობით

	31.12.2021	31.12.2020
შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	21,693,356	17,048,079
გაყიდული მარაგების თვითღირებულება	(13,249,009)	(10,946,187)
პირდაპირი ხელფასები	(3,343,592)	(2,113,636)
უკან დაბრუნება და ფასდათმობა	(64,525)	97,452
ცვეთა	(187,055)	(190,861)
თვითღირებულებასთან დაკავშირებული ხარჯები	(577,036)	(560,412)
წმინდა შემოსავალი	4,272,138	3,334,434

შენიშვნა 10 - სხვა შემოსავალი

საანგარიშგებო პერიოდის სხვა შემოსავლები მოიცავს ანარიცხების ამოტრიალებით მიღებულ შემოსავლებს, ინანსური ვალდებულების შეწყვეტით მიღებულ შემოსავლებს და სხვა შემოსავლებს, რომლებიც 2021 და 2020 წელს შეადგენდა 514,152 და 1,214,033 ლარს შესაბამისად.

შენიშვნა 11 - გაყიდვის და მიწოდების ხარჯები

	31.12.2021	31.12.2020
შრომის ანაზღაურება	459,091	473,219
მზა პროდუქციის საწყობის იჯარა	120,632	91,177
რეკლამა	52,836	54,637
ცვეთა	3,668	2,770
სხვა	184,133	48,862
სულ გაყიდვის და მიწოდების ხარჯი	820,360	670,665

შენიშვნა 12 - ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი

	31.12.2021	31.12.2020
შრომის ანაზღაურება	894,571	839,882
პროფესიული მომსახურება	204,931	145,530
ცვეთა და ამორტიზაცია	176,052	126,514
სამეურნეო და ოფისის ხარჯი	53,264	97,751
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	79,604	48,286
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	56,754	35,199
მივლინება და წარმომადგენლობითი ხარჯი	49,970	27,171
ბანკის საკომისიო	47,967	21,070
მიმდინარე რემონტი და შეკეთება	36,452	25,455
სხვა	48,703	51,312
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	1,648,268	1,418,170

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოდგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოდგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

ოპერაციები დაკავშირებული მხარეებთან (გაგრძელება)

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

მიმდინარე მოთხოვნები:

	2021			
	წლის დასაწყისში	გაწეული მომსახურება	გადახდილი თანხა	პერიოდის ბოლოს
იურიდიული პირები	298,136	1,415,787	1,449,846	264,078
	2020			
	წლის დასაწყისში	გაწეული მომსახურება	გადახდილი თანხა	პერიოდის ბოლოს
იურიდიული პირები	379,974	1,147,661	1,229,499	298,136

მიმდინარე ვალდებულებები:

	2021			
	წლის დასაწყისში	მიღებული მომსახურება	გადახდილი თანხა	პერიოდის ბოლოს
იურიდიული პირები	7,636	474,678	475,917	6,397
	2020			
	წლის დასაწყისში	მიღებული მომსახურება	გადახდილი თანხა	პერიოდის ბოლოს
იურიდიული პირები	3,373	195,358	191,095	7,636

სესხები:

	2021			
	წლის დასაწყისში	სესხის გაცემა	სესხის გადახდა	წლის ბოლოს
იურიდიული პირები	4,887	548,259	552,893	253
	2020			
	წლის დასაწყისში	სესხის გაცემა	სესხის გადახდა	წლის ბოლოს
იურიდიული პირები	100,526	194,361	290,000	4,887

საანგარიშო პერიოდში მენეჯმენტზე გაცემულმა ხელფასმა და სხვა სარგებელმა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 1,230,975 ლარი, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეს თანხა შეადგენდა 335,049 ლარს.

პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სასამართლო დავა უკავშირდება კომპანიის დებიტორის - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ შეტანილ სარჩელს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურების ნაკლოვანებების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ზიანის მოცულობა შეფასდა 994,022 ლარის (ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილი თანხა) ოდენობით. პირველ ეტაპზე საქმის განხილვა მოხდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომლის მიერ 2018 წელს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე არ დაკმაყოფილდა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ სარჩელი.

შპს „თბილსერვის ჯგუფმა“ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც 2020 წლის დეკემბერში მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც კომპანიას დაეკისრა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ სასარგებლოდ 994,022 ლარის გადახდა. კომპანიამ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში და როგორც აღწერილია ბალანსის შემდგომი მოვლენების ქვეთავში ეს საჩივარი სრულად იქნა დაკმაყოფილებული.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მიმდინარე წელს კომპანიაში ჩატარდა საგადასახადო შემოწმება, რომლის საფუძველზეც წარმოშობილია ვალდებულება, რომელიც არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. აღნიშნული გადაწყვეტილება არა სამართლიანია და გასაჩივრებულია ფინანსთა სამინისტროს დავების სამსახურში. ვინაიდან ჩვენ არ ვიზიარებთ შემოწმების შედეგად დამდგარ შედეგებს შესაბამისად არ მოველით რომ აღნიშნული გადაწყვეტილება აღსრულდება და ის არ გვაქვს ასახული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებში.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში 2022 წლის 29 აპრილს უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა კომპანიის საკასაციო საჩივარი და ბათილად ცნო 2020 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც გაუქმდა დაკისრებული ვალდებულება სრულად და გაუქმდა საქალაქო სასამართლოს მიერ დაწესებული შეზღუდვა საკურებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვასთან დაკავშირებით.

მმართველობის ანგარიშგება

2021 წელი

18 ივლისი, 2022წ.

შპს ნეოტექი

შინაარსი

წინასიტყვაობა	3
საქმიანობის მიმოხილვა და კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები.....	4
კომპანიის ფილიალები	9
კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა.....	10
განვითარების გეგმები.....	10
ინფორმაცია საკუთარი აქციების გამოსყიდვის შესახებ	12
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ.....	12
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	12

წინასიტყვაობა

კომპანია „ნეოტექი“ უსაფრთხოების სისტემის ბაზარზე 2005 წლიდან ოპერირებს. კომპანიამ არსებობის მანძილზე წარმატებული საქმიანობით შეძლო უსაფრთხოების სისტემის ბაზარზე წამყვანი პოზიციების დაკავება, მისი შენარჩუნება. კომპანია „ნეოტექის“ მიერ განხორციელებული პროექტები შეესაბამება უსაფრთხოების სისტემების პროექტირება-მონტაჟის მიმართ დადგენილ მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ უსაფრთხოების სისტემების მიმართულებით მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი საქართველოში სწორედ „ნეოტექის“ მიერ არის განხორციელებული.



კომპანია მუდმივად ცდილობს კორპორატიული კულტურის, პროცესების გაუმჯობესებას კლიენტთა კმაყოფილების გასაზრდელად.

„ჩვენი გადაწყვეტილებები ქმნიან თქვენს გარემოს უფრო უსაფრთხოს“

მუდმივი განვითარების კიდეზე ერთ მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს, EBRD-ის (ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი) თანადაფინანსებით, უცხოელი ექსპერტების ჩართა კომპანიის ძირითადი პროცესების გაუმჯობესების და ოპტიმიზაციის მიმართულებით. კერძოდ: გაყიდვები და მარკეტინგი; ლოჯისტიკა და ადამიანური კაპიტალის მართვა.

ბიზნესის სისტემა



საქმიანობის მიმოხილვა და კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები

2021 წელი, მსგავსად 2020-სა, არ იყო მოკლებული გლობალური გამოწვევებს. გაგრძელებული კოვიდ-19 პანდემია და ფინანსური კრიზისი. წინა წელს შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმა, მნიშვნელოვანი მექანიზმი აღმოჩნდა პრობლემების განსაჭვრეტად და სამართავად :

კრიზისების მართვა - 10 ნაბიჯი წარმატებისაკენ



კრიზისების მართვა		ნეოტექი: 10 ნაბიჯი ფინანსური კრიზისის შესამსუბუქებლად		 ბამბაი	
		დასაწყისი: 01 დეკ 2020		LAST UPDATE: _____ NEXT REVIEW: 31 Dec 2020	
1. ღიაობა და გულახდილობა (მოწოდებული კლიენტები, თანამშრომლები) - პაციენტები - საგარეო წარმომადგენლები და გამწვევები - თანამშრომლები - კლიენტების შიდა წარმომადგენლები - თანამშრომლები - მოსახლეობის საერთო კრება - თანამშრომლები - მოსახლეობის საერთო კრება - თანამშრომლები - მოსახლეობის საერთო კრება - თანამშრომლები - მოსახლეობის საერთო კრება		4. კომუნიკაცია ფინანსური ხარჯების შემცირების საჭიროების შესახებ (ტოპ მენეჯმენტი, საერთო კრება) კომპანიის მიერ და დაგეგმილი კომუნიკაცია გადამწყვეტია. ამგვარი კომუნიკაცია ხარჯების შემცირებაზე ზრუნავს ადგილობრივი, დაფუძნებული გადამწყვეტებისა და გლობალური ხარჯების შემცირების ხალხის განთავსებით. ზრუნავს კომპანიის პარტნიორების მხრიდან დაფუძნებული თანამშრომლების განხილვის ის სფეროები, სადაც ხარჯები შემცირება შესაძლებელია. განხილვისას უნდა იქნას სასიკეთო და დადებითი. მისასალმებელი ყოფილი გამჭვირვალე იმის სარგებლობა რომ თანამშრომლების თანამდებობიდან განთავსდნენ ბოლო გზა, რომლის თვითონ აცოდნენ გეგმა და დაგეგმილი თანამშრომლები, რომ მოეცნა სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილებები ხარჯების შესამცირებლად		7. მოკლევადიანი დაფინანსება (ტოპ მენეჯმენტი, ფინ. დეპარტამენტი) - Cash Flow-ს შედგენის და 2020-2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ. საჭიროების შემთხვევაში, საჭიროა ფინანსური ინსტიტუტებთან მოკლევადიან ბიზნეს სესხებზე მოლაპარაკებების დაწყება, რომ რაც შეიძლება სწრაფად მივიღოთ ეს დაფინანსება - გადახედვით სახელმწიფო დახმარების პროგრამებს, შესაძლებელია იყოს რაიმე ახალი ინიციატივა, რომელსაც გამოვიყენებთ	
2. მიმდინარე და სამომავლო პროექტების გადახედვა (ტოპ მენეჯმენტი, IT დირექტორი) - მიმდინარე და სამომავლო პროექტების კაპიტალდაზღვევის ეფექტურობაზე საჭიროა მენეჯმენტის გუნდის შეკრება - შავი, EPR სისტემის განახლების პროექტი - გაყიდვების & მარკეტინგის გუნდი - მენეჯმენტის პარკის განახლება - საწყობის მოწყობა - დამზადების სისტემების ადგილი და რემონტი - და ა.შ.		5. მიწოდების გეგმა და უწყვეტობის უზრუნველყოფა (დირექტორის მოადგილე, აღმ. დირექტორი, შესყიდვ. განყოფილება) - პიკევიტთან 2021 წლის შესყიდვების გეგმის დამტკიცება - 2020 წლის დარჩენილი შესყიდვების დაგეგმვა - ლიკვიდური და არალიკვიდური მარაგების გაუმჯობესებული განსაზღვრა - პროდუქტების კატეგორიზაცია - ანალიტიკური პროდუქტების ერთმანეთთან დალიკვა - ლიკვიდური მარაგების უწყვეტობის უზრუნველყოფა (არსებული და ანალიტიკური პროდუქტებით)		8. გამჭვირვალობა (ტოპ მენეჯმენტი, თანამშრომლები) თუ საშუალო ადგილობრივი კომპანიის ნიშნის ქვეშ უზრუნველყოფა, წინასწარ იყოს ცნობილი და გეგმილი იყოს ინფორმირებული როგორც ამ მდგომარეობის, ასევე უზრუნველყოფა იმის მიერ ნაღდი, რომელიც საბოლოოდ დარჩენილია მათი სამსახურიდან დათხოვნილი ან საერთოდ კომპანიის დახრევა. კვლევა აჩვენებს, რომ თუ უკლებლივ ჩართული არიან მენეჯერები გადამწყვეტილების შესახებ კომუნიკაციაში, მათი რეაგირება და გამბოვნი გაცილებით უკეთესია, ვიდრე უკლებლივ ნეგატიური სოფტბოქსი. ამიტომ, პირდაპირი გადამწყვეტი პირები 7 ნაბიჯი ამ რეაგირების თვითონ დასაწყისად	
3. Cash-Flow-ს გადახედვა მიმდინარე ტენდენციებით (ტოპ მენეჯმენტი, ფინ. დეპარტამენტი) - წინა წლების Cash-Flow რეპორტის გენერირება - წლის ბოლომდე ბიუჯეტის დადგენა და შეკრება და დავა - 2021 წლის საპროგნოზო ბიუჯეტის შედგენა - 2021 წლის I კვარტლის ბიუჯეტის მაქსიმალური სიზუსტე - მთავარი პრიორიტეტების გამოყოფა (პარკი - 80% ხარჯი) - პიკევიტის გადასახადები - სხვა მოწოდებები - ხელფასები - ბიუჯეტი		6. ანტიკრიზისული გეგმა (ტოპ მენეჯმენტი) - შესაქმნელია წლის ბოლომდე სამომავლო გეგმა - ჩამოსაყალიბებელია მთავარი მისაღწევი მიზნები - გაყიდვები, პროდუქტი, კლიენტები, თანამშრომლები, ხარჯები - დასაინჟინო პასუხისმგებლობა - გეგმა გადასახდები მიმდინარე კვარტალში ირგვლივ - გეგმა უნდა გაცემოს საერთო კრებაზე თანამშრომლებს - მოვითხოვოთ თანამშრომლების იდეები გეგმის გაუმჯობესებისთვის (ეს მოტივაციის ერთ-ერთი მექანიზმია)		9. შემოსავლის და კომუნიკაციის ახალი გზები (ტოპ მენეჯმენტი, გაყიდვები) - ადვილად ეს „დამიანობა, როგორც შესაძლებლობა“ და ვიფიქროთ ახალი შემოსავლის გზებზე და პოტენციალზე (გავიხსენოთ თუნდაც ადრე ნაფიქრი და დაიწყებული იდეები) - Cloud Solutions და მონაცემთა ცენტრალიზაცია - E-Commerce - ვიდეო ანალიტიკა (ამ ეტაპზე თუნდაც კაიუნის პროგრამა, სარგებობისათვის) - HubSpot (მარკეტინგი, სოც. ქსელები, CRM)	

კომპანიის მიერ მოხდა კონკრეტული ღონისძიებების დასახვა, თითოეული ნაბიჯის მიხედვით. 2021 წლის ბოლოს მოხდა მისი გადახედვა და მიღებული შედეგების მიხედვით სტატუსის განახლება.


კრიზისების მართვა - 10 ნაბიჯი წარმატებისაკენ



1. ღიაობა და გულახდილობა 70% თანამშრომლებისადმი წინა საახალწლო ონლაინ მიმართვა	4. კომუნიკაცია ფინანსური ხარჯების შემცირების საჭიროების შესახებ 60% ხარჯების შემცირებაზე მხოლოდ ტოპ-მენეჯმენტის ღონებზე მიდის საუბარი	7. მოკლევადიანი დაფინანსება 100% საჭირო გახდა საბანკო დაფინანსება. მოსაძიებელია სახელმწიფო პროგრამები
2. მიმდინარე და სამომავლო პროექტების გადახედვა 40% შეკრება და პროექტების სიის სრულად ჩამოწერა	5. მიწოდების გეგმა და უწყვეტობის უზრუნველყოფა 80% 2021 წლის გეგმა შესრულებულია. ცნობილია 2022 წლის შესყიდვების გეგმა. შექმნილია მარაგების მართვის სისტემა	8. გამჭვირვალობა 60% 2021 წლის დასაწყისში, პერსონალზე 2021-2023 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გაცნობა
3. Cash-Flow გადახედვა 50% არაპირდაპირი Cash-Flow დამუშევრებულია. საჭიროა 2021-2022 ბიუჯეტის შედგენა	6. ანტიკრიზისული გეგმა 30% უშუალო ანტიკრიზისული გეგმის შედგენას ნაკლები ყურადღება ეთმობა	9. შემოსავლის და კომუნიკაციის ახალი გზები 40% პირდაპირი მოკლევადიანი შემდეგ, ახალი მიდგომების დამტკიცება და დასტანდარტება (HubSpot, Cloud, IoT, AI)

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ COVID-19-ის აფეთქება პანდემიად გამოაცხადა 2020 წლის მარტში. პანდემიასთან გამკლავებაში მთავრობების მოქმედება და რეაგირება გავლენას ახდენს საზოგადოების, ზოგადად ეკონომიკის და შესაბამისად, ბიზნესის საქმიანობაზე. პანდემიას განსხვავებული გავლენა აქვს სხვადასხვა საოპერაციო სეგმენტზე. პანდემიას გავლენა არ ჰქონია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობაზე მიუხედავად მისი ეფექტისა საქმიანობის შედეგებზე:

Total Sales and % Years Sales vs Prev. Year by Year



2020 წლის ჯამური რეალიზაცია 22,1%
ნაკლები იყო 2019 წლის მონაცემებზე. რაც იქცა კომპანიის უმთავრეს გამოწვევად: 2021 წელს აღიდგინოს 2019-ის მდგომარეობა.

2021 წელს, კი ნეოტექი დაუბრუნდა 2019 წლის შედეგებს, 27,1%-ანი გაყიდვების ზრდით (ლარებში) 2020-თან შედარებით

კომპანია რჩება მომგებიან საწარმოდ საანგარიშგებო წლისთვის. თუმცა, უარყოფითი ფულადი ნაკადების გამო საოპერაციო საქმიანობიდან, რომელიც გამოწვეული იყო ძირითადი მომწოდებლიდან დიდი რაოდენობის პროდუქციის ერთბაშად შესყიდვის და (კოვიდის შედეგად მიწოდების ჯაჭვში შექმნილი პრობლემების გამო) და შესაბამისი გადახდის ვალდებულებების მიზეზით. რამაც განაპირობა მოკლევადიანი საკრედიტო ვალდებულებების აღების საჭიროების გაჩენა ფინანსური ინსტიტუტიდან.

2021 წელს, კიდევ ერთხელ მოხდა კომპანიის მთავარი **კორპორატიული ღირებულებების** (მისია, ხედვა, ღირებულებები) გადახედვა და მათი ახლებულად ჩამოყალიბება:

მისია

თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით
ჩვენი გამორჩეული წვლილი შევიტანოთ
მეტად უსაფრთხო და კომფორტული
გარემოს შექმნაში


ხედვა

ვიყოთ აღიარებული ბაზრის ლიდერი
უსაფრთხოების გადანყვეტილებებში

მუდმივი გაუმჯობესება
კლიენტზე ორიენტირება
პროფესიონალიზმი
ხარისხი
ადამიანთა პატივისცემა

სტრატეგიები

მათთან ერთად, ჩამოყალიბდა კონკურენტული უპირატესობის და შესათავაზებელი ღირებულებების განსაზღვრებები და მრავალი, სხვა მთავარი, მომხმარებელამდე მისატანი მესიჯი, რომლებიც საბოლოო ჯამში გაერთიანდა განახლებულ კორპორატიულ პრეზენტაციაში. სრულიად განახლდა ე.წ. Brand Book და Brand Story.



ხარისხის მართვა

ხარისხის მართვა კომპანიისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ISO 9001:2015 სისტემის დანერგვის შემდგომ, მისი სტანდარტების დაცვა და მათი გაუმჯობესება კომპანიის ზრდის განუყოფელი ნაწილია.



ISO 9001:2015
KAIZEN™
INSTITUTE
ISO 45001:2018


საერთაშორისო სერთიფიკატები
პირველად იყო... ხარისხი!

კომპანია ნეოტექნისთვის მომხმარებლის აზრი და კმაყოფილება უმნიშვნელოვანესია. ჩვენ ვცდილობთ, არამარტო შევასრულოთ დანაპირები, არამედ გადავაჭარბოთ თქვენს მოლოდინებს მომსახურების ხარისხით, ოპერატიულობით და შესაბამისი ფასით.

საანგარიშო პერიოდში, კომპანიაში აქტიურად ინერგება ე.წ. „ეფექტიანი მართვის“ KAIZEN™/Lean პრინციპები. 2020 წელს დაინერგა ISO 45001:2018 სტანდარტები. ხოლო 2021-ში მოხდა ISO 9001:2015 -ის სტანდარტის განახლება და შესაბამისი შედეგების დოკუმენტირება.


2021 წელს კომპანიამ გააგრძელა პროექტების გამტარუნარიანობის ანალიზი. შესრულებული და მიმდინარე პროექტების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 2019 წელს პროექტების ჩაბარების ვადები ზოგჯერ ადგმატებოდა გეგმიურს. ჩატარებული გაუმჯობესების ღონისძიებების შედეგად, შესრულების საშუალო დრო შემცირდა, რითაც გაიზარდა ერთის

მხრივ კლიენტთა კმაყოფილება და მეორეს მხრივ, კომპანიის მიერ დროის მოცემულ პერიოდში პროექტების გამტარუნარიანობა




2021 წელს პროექტების გამტარუნარიანობა გაიზარდა 39%-ით და შეადგინა 13,6 დღე საშუალოდ ერთ პროექტზე, მაშინ, როცა 2019-2020 წელს ეს მაჩვენებელი 22,3 დღეს შეადგენდა.

აღნიშნული გაუმჯობესება მოხდა მთავარი წარმართველი პროცესის დეტალური ანალიზის და იქ გამოვლენილი შეუსაბამოებების და დანაკარგების აღმოჩენის შედეგად. ჯგუფურმა მუშაბამ გასაუცარი შედეგი გამოიღო.



2021 წელს, კიდევ გაუმჯობესდა კლიენტთა კმაყოფილების გამოკითხვის მონიტორინგის სისტემა, რომელიც ასევე ერთ, ცენტრალიზირებულ დეშბორდზე ახლა უკვე განთავსებული.




ძირითად KPI-ს, რომელიც მიზნად ისახავს 85%-ან კლიენტის კმაყოფილებას, პროექტის შესრულება 97,5%-ით აკმაყოფილებს, და არც პროექტის დიზაინის ფაზა არის შორს მის შესრულებასთან 98,2%-ით. ხოლო სერვისი 95,7%-ით.

წინა წლის საკმარისობის შედეგების შეფასებით, კომპანიის მიმდინარე რესურსები იქნება ეს ადამიანური, თუ ფინანსური, აკმაყოფილებს კომპანიის მდგრადობას. თუმცა, პროცესების და სტრატეგიული გეგმის კიდევ უფრო განსავითარებლად, დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:

- გაყიდვების მენეჯერის აყვანა და „აქტიური“ გაყიდვების გუნდის ფორმირება
- HR მენეჯერის დაქირავება 130-150 პერსონალის უფრო ეფექტიანად სამართავად
- Digital მარკეტინგის; ბრენდ და ვებ დეველოპერების ე.წ. აუთსორს დაქირავება მარკეტინგის მიმართულების გასაძლიერებლად

სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში მხოლოდ შესაბამისი მარკეტინგული აქტივობის განხორციელება მოხერხდა, თუმცა 2022-ში, უკვე პირველივე კვარტალში გადაწყვეტილია HR და „აქტიური“ გაყიდვების მენეჯერების აყვანა და გუნდების ფორმირება.

2021 წელს მოხდა არსებულ FMG სისტემაზე სინქრონიზირებული მაიკროსოფტის, Power BI-ს პლატფორმაზე შეიქმნილი მარაგების ეფექტიანი მართვის მოდულის საბოლოო სახის მიცემა. რომელიც უკეთესს პროგნოზირებას სამომავლო გასაყიდ რაოდენობებს და მასზე დაყრდნობით ხდება ოპტიმალური მარაგების შეკვეთა. ამ მოდულის საშუალებით უკვე გაკეთდა რამოდენიმე შეკვეთის გენერირება და მომწოდებელზე გადაგზავნა.




პროგნოზირების სისწორე და აკურატულობა ცალკე აღსაღნიშნავია:

ძირითად მომწოდებელზე ერთი თვის პროგნოზის შეცდომა 3,1%-ია და სამი თვის 9,9% მხოლოდ!

ხოლო, მომსახურების დონე - 95,7%!

კომპანიაში მოხდა ცენტრალური საწყობის მნიშვნელოვანი გაუჯობესება. კერძოდ, ათვისებული იქნა, დამატებით, ახალი სასაწყობო ფართი, რამაც საშუალება მოგვცა უფრო ორგანიზებულად და სტრუქტურირებულად მივდგომოდით სასაქონლო მარაგების ფიზიკურად მართვის საკითხებს. მისი კეთილმოწყობა და სამუშაო სივრცის პროფესიონალურად მოწყობა რეგულარული აუდიტის საგანია და შედეგად მოგვცა სამაგალითო შედეგები.

კომპანიას მიზნად აქვს სადაზღუდო, ჰქონდეს ისეთი საწყობი, სადაც თავისუფლად შეუძლია „სტუმრის მოყვანა“ და მაგალითების ჩვენება, თუ როგორ უნდა იყოს ზოგადად, საწყობი მოწყობილი.



ინფორმაცია ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების შესახებ

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები შესადარისი მაჩვენებლებით შემდეგია:


	2021	2020	2019
წმინდა მოგების მარჟა	9%	6%	7%
საერთო მოგების მარჟა	40%	39%	39%
ლიკვიდობის კოეფიციენტი	4.2	2.6	2.2
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.8	0.7	0.7
ფულის ბრუნვალობის კოეფიციენტი (დღეები)	55,0	129,6	94,4
მარაგების ბრუნვალობის ეფექტურობა	74	67	95

კომპანიის წმინდა და დაბეგვრამდე მოგების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაუმჯობესებულია.

კომპანიის ფილიალები

კომპანიას არ აქვს ფილიალები. კომპანიის ცენტრალური ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში, ბოხუას ქ. #4-ში.

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა



EBRD-ის საერთაშორისო ექსპერტთა აქტიური ჩართულობით, მოხდა ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა და გაუმჯობესება. მთავარ კონცეფციად ჩამოყალიბდა, კომპანიის იმგვარად მოწყობა, სადაც არსებობს მხოლოდ ორი მთავარი მიმართულება:


პირველი - ძირითადი ბიზნესის მიმართულება, რომელიც აერთიანებს თავის თავში, მთავარი წამმართველ პროცესს მოწოდებიდან - რელიზაციამდე (მომარაგების ჯაჭვი, მარკეტინგი, გაყიდვები, მიწოდება)

მეორე - დამხმარე ოპერაციები, ისეთები როგორც (სამეურნეო განყოფილება, IT, HR, ხარისხის კონტროლი)

განვითარების გეგმები

2020 წელს დაიგეგმა კომპანიის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები (2020წ. - 2023წ.); ძირითადი გაუმჯობესების მიმართულებები და სამოქმედო გეგმა, რაც 2021 წლის ბოლოს შეჯამდა:

Deliverable	Plan	Actual	Fulfilment
Revenue	16,512,794	15,560,806	94%
Revenue USD	5,857,350	4,778,674	82%
Gross Profit Margin	37%	39%	100%
EBIDTA	1,066,667	2,153,748	100%
EBIDTA Margin	8%	12%	100%
VOC	88%	97%	100%
Project Delivery	9.8	11.1	88%
Stock Conversion Cycle	120	163	74%
Staff Satisfaction Level	N/A	In Oct'21	



2021 წლის შედეგები გეგმასთან მიართებაში 92% სიზუსტით არის შესრულებული

მთავარი სტრატეგიული მიმართულებები



შესყიდვები:

- პროცესის ოპტიმიზაცია
- „შეკვეთის წერტილი“
- საბრუნავი კაპიტალის გამონათვისუფლება



საწყობი:

- 5S ორგანიზება
- პრობლემების მართვა
- მარაგების ოპტიმიზაცია



რეგულარული შეხვედრები:

- ტოპ მენეჯმენტთან (თვეში ერთხელ)
- განყოფილებები (ყოველკვირეული)
- საკითხთა მართვა
- შეუსაბამოების მართვა



KPIs:

- ყველა მმართველ პროცესზე



ბიუჯეტი:

- 2021 წლის Cash Flow გეგმა
- ყოველთვიური Cash Flow
- Forecast Accuracy



პროცესების მართვა:

- გაყიდვები
- მარკეტინგი
- HR

გარდა უკვე დანერგილი Power BI-სა, რომელიც დიჯიტალიზაციის დონის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება იყო, კომპანიაში განხორციელდა და ვითარდება შემდეგი პროექტები (2021 წლის განახლება):

- თანამშრომელთა მოსვლა-წასვლის უკონტაქტო აღრიცხვა
 - o იდგმევა ოფისში სპეციალური AI ანალიტიკური დანადგარები (პროექტი დასრულდება 2022-ში)
- CRM მოდულის გაუმჯობესება (Bitrix24)
 - o გამოყოფილია ბიუჯეტი; (პროექტი დასრულდება 2022-ში)
- ERP სისტემის განახლება და ოპტიმიზაცია
 - o ძირითადი მოდულები განახლებულია. რჩება ძველი სისტემა. ველოდებით FireBird-ის ახალ ვერსიას.
- Call Center-ის ავტომატიზაცია
 - o ხორციელდება CRM სისტემასთან ერთად (დამთავრდება 2022-ში)
- YouTube არხი
 - o არ დაწყებულა (იგეგმება 2022 წლის ბოლოს)
- ვებგვერდის სრული განახლება
 - o მუშაობა დაწყებულია, დამთავრდება 2022-ში
- GPS სისტემებით პროექტების მონიტორინგი
 - o არ დაწყებულა. დაიწყება 2022 წლის ბოლოს

შემდეგ ეტაპად კომპანია განიხილავს შემდგომ გაუმჯობესების მთავარ მიმართულებებს:

- გაყიდვების და მარკეტინგის პროცესების ეფექტიანობის გაზრდა
 - o „აქტიური“ გაყიდვების მენეჯერი და გუნდის რეკრუტირება (2022)
 - o დიჯიტალ მარკეტერის საკუთარი კადრი (2022)
- სასაქონლო მარაგების მართვის მოდულის ტესტ რეჟიმიდან რეალურ რეჟიმზე გადასვლა
 - o შესრულებულია 90%-ით
- შეუსაბამოების და რეკლამაციების რეგულარული დაფიქსირება სისტემაში
 - o განახლებულია. მომაცემების რეგულარული შეყვანა (2022)
- თანამშრომლების პროფესიული სწავლა-გადამზადება
 - o იგეგმება წლის გეგმის შედგენა და მიყოლა 2022-დან ახალ HR მენეჯერთან ერთად
- თანამშრომელთა მოტივაციის სისტემის განახლება HR მენეჯერთან

- 12

- იგეგმება წლის გეგმის შედგენა და მიყოლა 2022-დან ახალ HR მენეჯერთან ერთად
- სტრატეგიული სამოქმედო გეგმის ანალიზი და განახლება წელიწადში ორჯერ
- სრულდება, როგორც დაგეგმილი იყო

ინფორმაცია საკუთარი აქციების გამოსყიდვის შესახებ

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და/ან გასხვისება.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის სტრატეგიული განვითარების მიმართულების ყველა აქტივობა შეფასებული აქვს შესაძლო, ან არსებული რისკების ჭრილში. მათი ამჟამინდელი რისკის დონის, კონტრაქტივობის და სამომავლო შემცირებული რისკის შედეგით:

1	მაჩვენებელი / კატეგორია	არსებული		წინა	დონორები	მართლებადობა	საშუალო
		საშუალო	კატეგორია				
1	საბიზნესო მართვა			14.80	საბიზნესო მართვა	2.70	7.00
1.1	ფინანსური მართვა	5	4	12	პროცედურების დანერგვა (AS ფორმის მუშაობა VSM)	3	4
1.2	საბიზნესო მართვა	3	4	12	საბიზნესო მართვის მართვა, QCD საბიზნესო მართვა	5	4
1.3	საბიზნესო მართვა	4	3	12	რეგულაციური მუშაობების განხორციელება	1	6
1.4	საბიზნესო მართვა	3	4	12	პროცედურების დანერგვა (AS ფორმის მუშაობა VSM)	2	4
1.5	საბიზნესო მართვა	3	4	12	2020 წლის მუშაობების მართვა	2	12
1.6	საბიზნესო მართვა	4	4	16	KPI-ების მართვა (მართლებადობის მართვა)	4	6
1.7	საბიზნესო მართვა	4	4	16	2021 წლის საბიზნესო მართვის მართვა	1	6
1.8	საბიზნესო მართვა	4	4	16	მართვა, დანერგვა, კონტროლირებადი პროცედურების მართვა	1	6
1.9	საბიზნესო მართვა	4	4	16	საბიზნესო მართვის მართვა	3	6
1.10	საბიზნესო მართვა	4	4	16	საბიზნესო მართვის მართვა	5	6
2	ადამიანური რესურსების მართვა			14.11	ადამიანური რესურსების მართვა	1.50	6.83
2.1	ადამიანური რესურსების მართვა	3	3	9	2020 წლის ტრენინგ პროგრამის მართვა	5	6
2.2	ადამიანური რესურსების მართვა	4	4	16	ფინანსური მართვის მართვა	5	6
2.3	ადამიანური რესურსების მართვა	4	4	16	ფინანსური მართვის მართვა	3	6
2.4	ადამიანური რესურსების მართვა	4	3	12	საბიზნესო მართვის მართვა	5	6
2.5	ადამიანური რესურსების მართვა	2	3	6	საბიზნესო მართვის მართვა	3	6
2.6	ადამიანური რესურსების მართვა	3	3	9	საბიზნესო მართვის მართვა	2	6
2.7	ადამიანური რესურსების მართვა	4	4	16	საბიზნესო მართვის მართვა	3	6
2.8	ადამიანური რესურსების მართვა	4	4	16	KPI-ების მართვა (მართლებადობის მართვა)	4	6
2.9	ადამიანური რესურსების მართვა	3	3	9	საბიზნესო მართვის მართვა	4	6
2.10	ადამიანური რესურსების მართვა	4	3	9	საბიზნესო მართვის მართვა	2	6
2.11	ადამიანური რესურსების მართვა	4	4	16	MUDA (WALSH/TALIN/SMOKEING...)	4	6
2.12	ადამიანური რესურსების მართვა	4	4	16	საბიზნესო მართვის მართვა	4	6
2.13	ადამიანური რესურსების მართვა	4	4	16	საბიზნესო მართვის მართვა	2	6
2.14	ადამიანური რესურსების მართვა	4	3	12	საბიზნესო მართვის მართვა	5	6
2.15	ადამიანური რესურსების მართვა	4	4	16	საბიზნესო მართვის მართვა	3	6
2.16	ადამიანური რესურსების მართვა	4	4	16	საბიზნესო მართვის მართვა	2	6
2.17	ადამიანური რესურსების მართვა	3	4	12	საბიზნესო მართვის მართვა	4	6
2.18	ადამიანური რესურსების მართვა	5	5	25	საბიზნესო მართვის მართვა	3	15
3	კაპიტალი			16.44	კაპიტალი	2.44	8.67
3.1	კაპიტალი	5	4	20	კაპიტალის მართვა	2	12
3.2	კაპიტალი	4	4	16	საბიზნესო მართვის მართვა	1	6
3.3	კაპიტალი	4	4	16	საბიზნესო მართვის მართვა	2	6
3.4	კაპიტალი	4	4	16	საბიზნესო მართვის მართვა	3	6
3.5	კაპიტალი	4	3	12	საბიზნესო მართვის მართვა	4	6
3.6	კაპიტალი	4	4	16	საბიზნესო მართვის მართვა	2	6
3.7	კაპიტალი	4	4	16	საბიზნესო მართვის მართვა	3	6
3.8	კაპიტალი	5	4	20	საბიზნესო მართვის მართვა	2	12
3.9	კაპიტალი	4	4	16	საბიზნესო მართვის მართვა	3	6
4	ფინანსები			10.29	ფინანსები	1.00	4.57
4.1	ფინანსები	4	3	12	საბიზნესო მართვის მართვა	3	6
4.2	ფინანსები	3	2	6	საბიზნესო მართვის მართვა	2	6
4.3	ფინანსები	3	3	9	საბიზნესო მართვის მართვა	2	6
4.4	ფინანსები	4	3	12	საბიზნესო მართვის მართვა	3	6
4.5	ფინანსები	3	3	9	საბიზნესო მართვის მართვა	3	6
4.6	ფინანსები	5	3	15	საბიზნესო მართვის მართვა	3	6
4.7	ფინანსები	3	3	9	საბიზნესო მართვის მართვა	5	6

ანგარიშგება ხელმძღვანელობისგან დამტკიცებულია გასასაჯაროებლად 2022 წლის 18 ივლისს

დირექტორი: ი.ფარჯიანი

